ნოდარ მელაძე

ო ჯ ა ხ ი

გოგონა 13 წლის -მარიამი
ბიჭი 17 წლის-პეტრე
მამა41 წლის -თემური
ქეთინო 40 წლის- დედა

3 ოთახიანი ბინა სადაც არის 3 საძინებელი მისაღები და სამზარეულო . ბავშვებშ აქვთ თავისი ოთახები . გოგოს კარაოკე აქვს ჩართული და მღერის , თან ცეკვავს , ეს ყველაფერი ხალისიანად ხდება . მამა შემოდის ოთახში .

მამა-(გათიშავს ტელევიზორს) მოდი აქ დაჯექი ერთი წამით . რატო იქცევი ასე?
გოგო-მამა მე მგონია, რომ თქვენ ცოტას იცინით და საერთოდაც ცოტას ვლაპარაკობთ. მე კი ვცდილობს ბედნიერი ვიყო.
მამა-შვილო , მომისმინე . შენ პატარა ხარ და ყველაფერს ვერ გაიგებ , მაგრამ ერთი რამე კარგად უნდა გესმოდეს . არ შეიძლება ამდენი ცეკვა-თამაში . ასე არასერიოზულად მოეჩვენები ხალხს .
გოგო-მამა მე არ მაინტერესებს სხვები რას იფიქრებენ ჩემზე . თან მიყვარს ცეკვაც , სიმღერაც და ხატვაც . ყველა ადამიანი ერთმანეთს ხომ არ დაემსგავსება .
მამა-შენ კიდე იძრომიალე ხომ ფეისბუქზე . ჰა? ხომ გითხარი ჯერ შენ პატარა ხარ და იქ ათასი სისაძაგლეა და არ შეიძლება შენთვის მაგ რაღაცეების კითხვა. დედაშენს რომ დაემსგავსო ცუდს რას ხედავ ამაში . ცუდი ქალია დედაშენი ?
გოგო-არ არის ცუდი ქალი . მე ძალიან მიყვარს . მაგრამ ხომ შეიძლება , რომ თან დავემსგავსო თან არა .
მამა-რას ნიშნავს თან დაემსგავსო, თან არა ? აქ არი ერთი ვარიანტი - ან ემსგავსები ან არა . (უჭირს ახსნა) თუ არ ეცდები , რომ მეტად სერიოზული იყო , ყველა დაგცინებს და არ გექნება ფასი საზოგადოებაში. თამარ მეფე შენი აზრით როგორ გახდა თამარ მეფე ? ცეკვავდა , თამაშობდა და ხატავდა ,თუ როგორაა ჩვენი საქმე ?
გოგო-მამა ის ხომ მეფე იყო ?
მამა-მერე შვილო შენ პრინცესა ხარ , ჩემი პრინცესა და დედოფალი უნდა გახდე . გარეთ ბიჭებთან ერთად თამაშობ , ასე გინდა დედოფალი გახდე ?

გოგო-მამა მე გოგოებთანაც ვთამაშობ . თან ერთს ფილმის გადაღება უნდა და მე მთავარ როლში უნდა რომ მათამაშოს .
მამა-ვის უნდა ფილმის გადაღება? რა დროს თქვენი ფილმია ? მისმინე ეგ აღარ გაიმეორო , მსახიობობა არის უსაქმურების და უზრდელების საქმე . მეორედ არ გავიგონო შენგან ეგ . თუგინდა რომ სათამაშოდ გარეთ გაგიშვა . გაიგე ?
დედა-რა ხდება თემურ ? რატო ეჩხუბები?
მამა-შენ იცი ეს რას ბედავს ? ის არ ყოფნის სიცილ კისკისში ,რომ გაყავს მთელი დღე , ახლა მსახიობობა გადაწყვიტა, აქცევ საერთოდ ყურადღებას ?
დედა-მსახიობობა?
მამა-ჰო მსახიობობა , შენ სად ხარ საერთოდ ამ დროს , ვერ ხედავ რა ასაკშია ? (გოგოს) წადი შენს ოთახში.
(გადის გოგო)
მისმინე ქეთინო , მე წელებზე ვიდგამ ფეხს , რომ ამათ ცხოვრება შევუქმნა და ამათმა თუ გზას გადაუხვიეს არ ვიცი რას ვიზამ . ჭკუიდან გადავალ იცოდე . ერთია და უვარგისია ყველაფერში . ფეხბურთის თამაში ამას არ გამოსდის , ბიჭებთან ჩხუბი ამან არ იცის , თავის დასაც ვერ უვლის . სამი და მყავდა ადამიანო და ჩემს იმედზე იყვნენ სამივე .
დედა-თემურ მაშინ სხვა დრო იყო , ახლა ყველა ბავშვს სისულელებით აქვთ ამოტენილი თავი . ინტერნეტმა და ტელევიზორმა გააფუჭა ყველაფერი .
მამა-მერე შენ რას მიკეთებ ამ დროს ? თუ სამჯერ რომ დაშორდება ქმარს , დაშორებულ ქმრებს ვუთხრათ ინტერნეტმა და ტელევიზორმა ვერ აღზარდა ბავშვიო.
დედა-სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ შვილად ვერ გამიზრდიხარ .
მამა-არ გიშველის მერე არც აკაკის და არც შენი გამზრდელი .
დედა-თემურ მე ყველაფერს ვაკეთებ , მეტი რა ვქნა გამაგებინე ? სახლს ყოველ დღე ვალაგებ , ტანსაცმელებს გიწესრიგებთ , გაჭმევთ , გივლით , ვამეცადინებ . მეტი რა გავაკეთო .

(ოთახიდან ისმის სიმღერის ხმა .)
მამა-დროზე შედი და სიმღერა გამოურთე . (გადის დედა)
(ბიჭი გამოდის თავის ოთახიდან , ნაოშნიკები უკეთია .)
ბიჭი-(თამაშობს) ფუ , მომკლა ჩემი ბედის დედაც . (დაინახავს მამას) ჩემი ბედის დედაც მიყვარს .
მამა- მოდი აქ ბიჭო . გესმის . (ხმამაღლა) მოიხსენი ეგ საცობები . რა თქვი წეღან ?
ბიჭი-არაფერი , რა ვთქვი ?
მამა-ჩემი ბედის დედაცო ხომ თქვი?
ბიჭი-ბოდიში მამა .
მამა-მოდი აქ .
(მიდის შეშინებული)
მამა-შენ ხარ ჩემი ვაჟკაცი იცოდე , შენ ჩააბარებ წელს ბიზნესებზე , შენ გენაცვალოს მამა. (კოცნის) ამას თავი დაანებე და გონება დაასვენე . იმეცადინე დღეს კარგად ?
ბიჭი-კი ვიმეცადინე . შევჭამ რა ცოტას .
მამა-ჭამე , ჭამე . მაგრამ ახლა რა დროს ჭამაა შე კაცო .
ბიჭი- ცოტას შევჭამ , დავიღალე დღეს .

მამა-მიდი შვილო ჭამე , მამის იმედი . რომელი მესი შენ ხარ აბა .ბიზნესმენი კაცი იქნები და კი მოგიხდება ღიპი და ჯიპი .
ბიჭი- აუ ,მესიმ მაგარი გაიტანა ესპანიოლთან . წავიდეთ რა ერთხელ ბარსელონას თამაშზე . ჩემი ორი კლასელია ნამყოფი და მესის ხელმოწერა აქვთ . (ჭამს)
მამა- წავიდეთ მერე , რა უნდა მანდ წასვლას ჩააბარე უფასოზე და ელ კლასიკოს დავესწროთ . თუ არადა კი შეგრჩება ეგ კიტრი ხელში .
(გამოდის დედა)
დედა-რა დროს ჭამაა შვილო , გუშინ გიყიდე ახალი შარვალი და დღეს აღარ მოგერგო ხო ხედავ.
ბიჭი-კაი რა დედა , ხვალ ფეხბურთი უნდა ვითამაშოთ სკოლაში და დავიკლებ რა . თან შენ შემწვარ ქათამს რა ჯობია.
დედა- აკაკანდება თემურ ეს ბავშვი მალე .
(გამოდის გოგო სხვა ტანსაცმელში ჩაცმული , გახედავს ძმას და იწყებს კაკანს და ქათამივით სიარულს , იცინის)
ბიჭი- გცემ ახლა .
გოგო-კარგი გეხუმრე რა იყო . ჭრელო პეპელა გაფრინდინელა , დელიავ რანუუნიი , ნურც მოფრინდები , ნურც გაფრინდები .
მამა-ახლა მე გავფრინდები სადაცაა . რა ამღერებს ამ ბავშვს , რა ჯანდაბა გამღერებს გამაგებინე ხომ შეიძლება . შეიძლება ამნაირ ქვეყანაში ამდენს მღეროდე ?
დედა- თემურ დამშვიდდი.
გოგო-მამა მე სხვაირად არ შემიძლია . თუ არ ვიმღერე , არ ვიცეკვე , არ დავხატე და არ ვითამაშე , მაშინ თავს მოვიკლავ .
დედა-ვაიმე ჩემი სიკვდილი .არც კაცი ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს , იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს .
მამა-მოკვდი შვილო , მოკვდი ან მე მოვკვდები (ცოლს) შენც მოკვდი , (ბიჭს) შენც და ყველა მოვკვდეთ . მე მაღაზიას ვუყურო 24 საათი , პროდუქტებზე ვირბინო და ათას პრობლემას მივხედო თუ იმის შემეშინდეს შვილები გაიზრდებიან და ვერ მომხედავენ მერე თქო .
შენ რა გენაღვლება , გათხოვდები და აიწყობ ცხოვრებას , თუ გაგაჩერა ქმარმა ასე ჰარი ჰარალოზე .
დედა-თემურ ნუ ამბობ ასეთ რაღაცეებს ბავშვთან . (გოგოს) სხვა ძე არ ესვა მეფესა მარტოდენ მარტოდ ასული .
გოგო-კარგი მამა დღეიდან აღარ ვიმღერებ . (ოთახში გარბის)
დედა-შედი დაიძინე ოთო. მგონი ცოტა ზედმეტი მოგივიდა. (ალაგებს ოთახს)
მამა-ვაჰ .
დედა-რა გჭირს ?
მამა-გული.
დედა- არაფერია, მოიცა წყალს მოგიტან . დალიე . როგორ ხარ ?
მამა-რამე წამალი მომეცი. 1 კვირაა ასე მირტყამს . ექიმთან უნდა მივიდე .
დედა-წავიდეთ , კარდიოგრამა გადავიღოთ რა .
მამა-სად მაქვს ახლა ამის ფული . ჯანდაბა რა.
დედა-კარგი რა , რა დროს ფულია. ცხოვრება უნდა ქარიშხალს გავდეს , მეხის გავარდნას

გავდეს სიკვდილი .
მამა-გეხვეწები მოაშორე ეს შენი ფილოლოგიური განათლება ,თუ ქალი ხარ . წავედი დავწვები.
დედა-წამალი აღარ გინდა ?
მამა-არა , უკეთ ვარ .
დედა- ფეხზე გაიხადე რა .
მამა-გავიხდი, ჰო .
დედა-ძლივს დავალაგე.
მამა-გავიგე , გავიგე.

(მეორე დღე) დილა

დედა- პეტრე ადექი , დაგაგვიანდება . პეტრე გესმის ? პეტრე
პეტრე- ვდგები დედა, ვდგები .
დედა-მალე , ჩაი მზადაა. მარიამ ადექი , მარიამ . რა დილა თენდება , სიმღერა მინდება. (მღერის) მარიამ (მარიამი გამოდის ოთახიდან)
რა ხდება მარი , დილა მშვიდობისა არ უნდა თქვა ?
მარიამი-დილა მშვიდობისა დედა .(უხასიათოდ)
დედა-მოხდა რამე ?
მარიამი-არა , რა უნდა მომხდარიყო . დღეს საკონტროლო მაქვს მათემატიკაში .
დედა-მერე ტყუილად ხო არ გატარებ მასწავლებელთან შვილო. არ დავინახო ცუდი ნიშნები იცოდე . აბა შენ იცი . ჩაი დალიე და ტოსტი ჭამე .
პეტრე- დილა მშვიდობისა დე . ჰა , გამარჯობა უდარდელა . ამას რა ჭირს ?
დედა- ალბათ მომავალი კონცერტებისთვის ხმას ასვენებს .
პეტრე-ალბათ .
თემური-დილამშვიდობის ხალხო . აბა ქართველიშვილების ოჯახო , ხომ ხართ შემართებით ?
დედა-კი არიან მაგრამ ბერიძეებს მაინც ვერ ეწევიან . (ჩუმად)
თემურ-ოჰ , არ გასვენებს შენ გამჩენი . სად არის ჩემი ჩაი ?
დედა - დაგიდგამ ახლავე.
თემური- მალე მალე , დამაგვიანდება . მოვემზადები მანამდე .
პეტრე - მამა მომცემ 5 ლარს .
თემური-შენ თუ იცი რა ღირს 1 კილო კიტრი ?
პეტრე- არვიცი მამა , ალბათ 2 ლარი .
თემური-5 ლარი ღირს შვილო. გამომართვი .(მიცემს 5 ლარს) ნახევარ კილოგრამ კიტრს მოიტან, რომ მოხვალ სახლში . დანარჩენი შენი იყოს .
პეტრე-ანუ 4 ლარი მრჩება ჰო ?
თემური-ქეთინო , გამოვიყვანოთ ეს სკოლიდან და გავაგზავნოთ შენებთან , მოსავლის აღებაში მაინც მიეხმარება შენებს . ამას ჭირს ? რახდება დღეს ბულბული მივლინებაშია ?
ქეთინო-ალბათ გუშინდელ ნათქვამს ასრულებს .

თემური-ესეიგი ნაბიჯი გადავდგით წინ.
(ბავშვები გადიან)
ქეთინო- აბა თქვენ იცით , ჭკუით იყავით .
თემური- ჰა მზადაა ჩაი ?
ქეთინო-კი კი , მოდი დაჯექი .
თემური-არა , რა მიკვირს იცი ? რა საჭიროა ამდენი ფული გადახდა მარიამისთვის , მასწავლებლებთან რომ დაგვყავს?
ქეთინო- რატო ამბობ ამას ?
თემური-რაღა რატო ? ასეა თუ ისე ხომ უნდა გათხოვდეს , რომ გაიზრდება ?
ქეთნო-რა დროს ეგ არის თემურ .
თემური- მაგაშია საქმე . მანამდე რომ დრო არის და უნდა ვყაროთ ტყუილად თანხა .
ქეთინო-რატო , განათლებული რომ იქნება , თვითონაც უკეთეს არჩევანს გააკეთებს .
თემური-კაი რა , არ დამიწყო ახლა . არაფერ არჩევანს არ ვაკეთებთ ჩვენ . ბედი არის ბედი . რაც გიწერია ვერ აცდები იმას . შენ რომ ორი წიგნით მეტი გქონოდა წაკითხული სხვას გაყვებოდი , თუ როგორ არს საქმე ?
ქეთინო-არვიცი თემურ , როგორც ჩანს ბედი იყო ჰო.(მოწყენილი)
თემური-რა არ იცი ქალო? აბა იმ გამოსირებულს გაყვებოდი ჰო? ყვავილებს და წერილებს რომ გიგზავნიდა .
ქეთინო- თემო რა სალაპარაკოა დღეს ეგ, რაც 22 წლის წინ ხდებოდა , კარგი რა .
თემური- ვა , კარგად გახსოვს რამდენი წელი გავიდა .რაიყო ხო არ გენატრება ის დრო .
ქეთინო-იმიტომ მახსოვს , რომ შენ მაგ დროს გაგიცანი . რა დაგემართა , ხო არ გაგიჟდი . გაგიჟება სჯობს თუ გათავდა სიტყვის მადანი , და თვალთა დათხრა თუ მზეს ქებით ვეღარ დახვდები.
თემური- ნეტა მართლა არ გაგჟდებოდე . წავედი .
ქეთინო- აბა შენ იცი , წარმატებული დღე .
(ალბომს იღებს და ათვალიერებს ფოტოებს)
ქეთინო- და ახლა , რომ ავდგე და ვუთხრა . თემურ მე უნდა წავიდე . ეს ყველაფერი ტყუილია . მე შენ ყველაფრისთვის მადლობას გიხდი , მაგრამ ეს ის არ არის , რაზეც ვოცნებობდით . თურმე ცხოვრება უფრო საშინელი და აუტანელი ყოფილა . იქნებ შეიძლება ყველაფერი თავიდან დავიწყო . იქნებ გამიგო და სჯობდეს გავათავისუფლოდ ერთმაანეთ ამ მოვალეობისგან . ღმერთო , მაგრამ შვილები . (ცრემლი მოადგება) (რეკავს ტელეფონი) ალო, გისმენთ ? ალო. რომელი ხარ ? ისმის ჩემი ? (კარზე ზარი) (კარის გაღების შემდეგ , შემოდის მარიამი გაფითრებული . რის შემდეგაც წაიქცევა და გონებას კარგასვ .)
ქეთინო-მარიამ , რა გჭირს დედა . მარიამ . ღმერთო შენ მიშველე . რა ხდება გამაგებინე მარიამ . (რეკავს ტელეფონზე) მიშველეთ ღმერთო . მიშველეთ. ალო გთხოვდ , სასწრაფოდ მოხვიდეთ ქავთარაძის 16 ნომერში . მეორე კორპუსი სადარბაზო პირველი . გონება დაკარგა ჩემმა შვილმა . არვიცი . სასწრაფოდ მოდით გთხოვთ . (შუქი ქრება)

სცენა3

თემური- ასე ჯობდა მომხდარიყო . (სიგარეტს ეწევა) სწორად მოიქცა , გესმის ? მას ამ ქვეყნად ცხოვრების უფლება აღარ ქონდა .

ქეთინო-გაჩუმდი , არ გაქვს ამის უფლება. არ შეიძლება იმის თქმა რასაც შენ ამბობ . გაჩუმდი და აღარ გაიმეორე გეხვეწები.
თემური-აბა რა ჯობდა , 14 წლის გაუპატიურებული ქალიშვილი გვყოლოდა , რომელსაც ვეღარ გავათხოვებდით ? რომელიც ყოველთვის წარსულით იცხოვრებდა , რომელიც ყოველთვის ტვირთად დაგვაწვებოდა ? ასე ჯობდა , უნდა შეიგნო ეს . ყველაფერი ბედისწერაა . ასე ეწერა . ის იმ ნაბიჭვარს უნდა...
ქეთინო-გაჩუმდი!
თემური- ჰო და თავიც უნდა მოეკლა . ეს იყო ერთადერთი გამოსავალი და ღმერთმა ჩვენზე კარგად იცის რა როდის და როგორ მოხდეს . როდესმე იმ ნაბოზარსაც იპოვნიან და როგორც კი მივაგნებ ყელს გამოვჭრი . აი რა მიწერია მე . შენ კი გონს მოდი და ცხოვრება გააგრძელე . პეტრეს ჯანმრთელი დედა ჭირდება .
ქეთინო- არ შემიძლია , მგონია რომ მეძახის მარიამი . ყურში მიმღერის. მგონია რომ როცა მღეროდა , მაშინ რაღაცის თქმა უნდოდა ჩვენთვის . თითქოს გვაფრთხილებდა , რომ მისი ბედნიერება დროებითი იყო . ჩვენ კი რა ვქენით , გავაჩუმეთ იმ საღამოს და იმედი დავაკარგინეთ .
თემური- დაწყანრდი , ეგ შენი ფანტაზიების შედეგია. ახლა ათასი წიგნის ამბავი გიტრიალებს გონებაში და გეჩვენება რაღაცეები . მორჩი ამ კრეტინიზმს ბოლოს და ბოლოს . უბრალო მოხდა ის რაც მოხდა . ახლა მეტი დრო გაქვს , რომ გონზე მოხვიდე . პეტრესაც მანამდე სოფელში მიხედავენ . იმუშავებს და გონზე მოვა. ცხოვრება თუ არ გავაგრძელეთ გაგვძვრება სული და ეგ არი .
ქეთინო-(ჩართავს იმ მუსიკას რასაც მარიამი უსმენდა ხოლმე)
თემური-გაგიჟდი თუ რას აკეთებ . გესმის ? გამორთე ახლავე . (უთიშავს მუსიკას) რა გჭირს ადამიანო . ავდგეთ და გავაკეთოთ ერთი ბავშვი.
ქეთინო- რა თქვი.
თემური- ჰო , იქნებ ბიჭი გვეყოლოს კიდე და ამოგვიდგება მხარში .
ქეთინო - მე მივდივარ ამ სახლიდან . მივდივარ შენგან და იცოდე არ გამაჩერო .ეს უკვე მეტისმეტი იყო . ახლა ვხვდები რა ნაგავიც ყოფილხარ. საქონელი ხარ და მეტი არაფერი . ბავშვი გავაკეთოთ არა . ? მარიამის გარდაცვალებიდან 1 თვე არ არის გასული და ბავშვის გაკეთების იდეამ შეგიპყრო ხო ? საქონელი ხარ , აყროლებული საქონელი . არანაირი ადამიანური შენში არ არის. არც იცი რას ნიშნავს ადამიანი . რატო ხარ გაჩუმებული . გგონია არ წავალ ხო ? ცდები დამიჯერე . მაშინ ბავშვები იყო მიზეზი და ვუძლებდი ჩემს უბედურ თავს . ჰო ვუძლებდი . გესმის? კარგად გაიგონე , ვუძლებდი. ახლა კი მარიამი აღარ მყავს . იმიტომ ,რომ ყრუ ვიყავი , იმიტომ რომ ბრმა ვიყავი . არ მესმოდა მისი სიმღერა . არ მესმოდა , რომ იცინოდა .
მეგონა მართალი იყავი და დანაშაულს ჩადიოდა . თურმე ერთადერთი , ერთადერთი ადამიანი ამ სახლში მარიამი იყო . (თან ცდილობს ჩაალაგოს)
თემური-(კარს გადაკეტავს და გასაღებს ჯიბეში იდებს)
ქეთინო-რას აკეთებ . ფანჯრიდან გადავხტები თუ კარს არ გააღებ.
თემური-გადახტი .
ქეთინო-ზუსტად ათ წამში კარს გააღებ ან ვხტები.
თემური-დამიჯერე ქვემოთ ის არ დაგხვდება , რა ერქვა ? ზვიადი ნემსაძე . ყვავილები ,

წერილები . ჰოო , იქნებ მაგ ნაბიჭვარს წერ და მასთან გეჩქარება და აქ შვილზე ტირი ვითომ ? მიდი გადახტი და დაგიჭერს . ან დაახტი პირდაპირ .
ქეთინო -ათი , ცხრა .
თემური -არა რა მინდოდა , შენ გამო როგორ ვცემე ეგ იდიოტი. თურმე მართლა შესაფერისები ყოფილხართ . (ბაძავს ზვიადს) ძმაო მე მიყვარს და თავს არ დავანებებ . თქვე სირეგო .
ქეთინო-რვა , შვიდი
თემური -(იღებს გასაღებს ჯიბიდან და მაგიდაზე დებს)
ქეთინო-(იღებს გასაღებს მაგიდიდან და კარისკენ მიდის)
თემური -(ხელს მოუქნევს და ქეთინო იატაკზე წაიქცევა) რა დაგემართა , გესმის ? მოდი აქ . (პირსახოცს დაასველებს წყლით და სახეზე უსვამს) რა გჭირს . ? ცოცხალი ხარ ?
ქეთინო მიყვარხარ ხომ იცი ? ჩემო ცხოვრება ?
ქეთინო-შენ ხარ ქეთინო , ქეთინოც არ ხარ . არაკაცი ხარ . ბინძური საქონელი ხარ .
თემური- დამშვიდდი ახლა . მოდი წამოგაწვენ და კარგად გახდები . დალიე მიდი , დაგამშვიდებს . (წვეთოვან დამამშვიდებელს მიცემს)
ქეთინო- სიგარეტი.
თემური- რა სიგარეტი.
ქეთინო- მომეცი სიგარეტი. (თემური მიცემს სიგარეტს)
თემური-არ შეისუნთქო ეგრევე , ნელა ქენი და არ დაგახველებს. (ტელევიზორს ჩართავს)
ტელევიზორი- მარიამ ქართველიშვილის ამბავთან დაკავშირებით არსებობს სავარაუდო ეჭვმიტანილი . პროკურატურამ განაცხადო რომ ნაპოვნია ვინმე 41 წლის მამაკაცი ზ.ნ . რომელსაც მარიამის ჩანთაში ნაპოვნი ყვავილით და წერილის საფუძველზე მიაგნეს . (თემური გამორთავს ტელევიზორს) რაო ? ზ. ნ ? ყვავილი და წერილი ? ზვიად ნემსაძე ? (შუქი ქრება)

სცენა 4 (მოლანდება)

თემური-მარიამ იმღერე რა კიდევ ?
მარიამი- მამა მითხარი რა ვიმღერო და ვიმღებ . თუგინდა რამე ერთად შევასრულოთ .
თემური- არა მამა შენ უნდა იმღერო. შენ გაქვს მაგის ნიჭი . მე ჩემი საქმე მაქვს და ჩემ საქმეში უნდ ვიყო მაგარი . ყველამ ის უნდა აკეთოს რაც უყვარს და რაც გამოდის .
მარიამი-მამა შენ საუკეთესო რომ ხარ თუ იცი . იცი , ჩემს მეგობრებს მამიკოები ძალიან ეჩხუბებიან, ისინი კი სულ მოწყენილები არიან ამის გამო .
თემური- მამა შენ ხო ჩემი ანგელოზი ხარ . ანგელოზებს კი არ ეჩხუბებიან . მამა ეს შენ დახატე ?
მამა ვინ არის ეს კაცი .? (ნახატს უყურებს) არადა რა ნაცნობი სახე აქვს . თითქოს სადღაც მყავს ნანახი . მამა რატო უჭირავს ყვავილები და წერილი ხელში .
მარიამი- იმღერე მამა, კარგი?
თემური- რა ვიმღერო შვილო? მე რომ სიმღერა არ ვიცი.
მარიამი-ჰიმნი იმღერე მამა . საქართველოს ჰიმნი იმღერე .

თემური-მარიამ , ეს კაცი ვინ არის . რა ქვია ?
მარიამი- ზვიადი მამა ,ზვიადი ქვია.

თემური- ზვიადი . ოო რა ნაცნობი სახე აქვს . ზვიად გამარჯობა , ზვიად . კიდევ გიყვარს ქეთინო? ვა ეს რატომ ვთქვი ? მარიამ სად ხარ ? უი აქ ყოფილხარ . მარიამ მოდი მამას აკოცე . ვიცეკვოთ გინდა ? ვალსი ვიცეკვოთ .(მარიამის კაბა სისხლიანდება ცეკვის დროს , თემური სისხლიან ხელს სახეზე ისვამს და ცეკვას აგრძელებს) იმღერე მარიამ , იმღერე არ გაჩერდე გთხოვ. (მარიამი მღერის , ფარდა .)